

სოციალ-დემოკრატიული

ბრუნველი
ნიგელითქა

ფურცელი

მთავარი,
კვირა, 25 დეკემბერი
1905

ნომერი 3 კაპივი. * წლიწადი პირველი.

რუსეთის სოციალ-დემ. მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 10.

ყოველ-ღლიური გაზეთი.

№ 10.

თავისუფლება განსაცდელშია!

რეაქციამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და იერიში მოაქცეს რევოლუციას. რეაქციის რევოლუციამ დასცა მეფის თვითმპყრობელობა, მარა დარჩა თვითმპყრობელები, რომლებმაც ამართეს აჯანყების დროში. ეს პატარა თვითმპყრობელები: გუბერნატორები, გენერლები და საზოგადოათ ძველი რეჟიმის მომხრე ჩინოვნიკები გამოვიდნენ აშკარათ ქუჩაზე და იწყეს ბნელი ძალების თავის გარშემო შეგროვება. არასოდეს რეაქციას ისეთი საქმიანობა და თავის დაცვის უნარი არ გამოჩენია, როგორც ეს მან დაგვიანა. 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ ამ დღიდან დაიწყო რუსეთში ნაამდვილო სამოქალაქო ომი ამ დღიდან დაუბრუნდებენ ქუჩაში ერთმანეთს აშკარათ ძველი და ახალი წყობილების მომხრე ძალები. ძლიერ-მოხილმა რევოლუციამ მოსწყვიტა რეაქციას თავი და შეფეს გიმოსტაცა ხელიდან 17 ოქტომბრის მანიფესტი. მარა მთავრობის ბნელმა ძალებმა წამოიყარა თავი და გაილაშქრა რევოლუციის წინააღმდეგ — მას უნდა აღადგინოს დაცემული თვითმპყრობელობა. ტრეპოვის და იგნატიევის „პატრიოტული ხულიგანობა“ — ეს უკანასკნელი თავის დასაცავი საშუალებაა რეაქციის ხელში.

გმირი პროლეტარიატი მედგრაათ უზღვედა მთავრობის იერიშს და იერიშზედ კონტრ-იერიში მოაქცეს. პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭო საერთო გაფიცვას აცხადებს და თხოულობს სამხედრო წესის მოსპობას და აჯანყებული მატროსების განთავისუფლებას. მთავრობაც აქაიქ უკან იხევს, მაგრამ აღდგებულ ცხოვრება კიდევ უფრო მაგრათ ახეთქებს ერთმანეთს საზოგადოებრივ ძალებს. პროლეტარიატი პეტერბურგში მუშათა დეპუტატების საბჭოს სახით გამოდის რევოლუციონური ძალების მომწყობათ და ორგანიზატორათ. მთავრობა ზღუდავს პრესის, კრებების და კავშირის თავისუფლებას. ის აცხადებს სულ ახალ და ახალ ადგილებში სამხედრო წესის და ფაქტიურათ ხორციელდება ტრეპოვ - შირინკინების სანეტარო

აზრი - სამხედრო დიქტატურა. რეაქცია დაურიდებლათ იწვევს წინ — ის გააფთრებული ებრძვის რევოლუციას. მაგრამ რუსეთის დიდებული რევოლუციის ძლიერ-მოხილი წინამძღოლი — პროლეტარიატი თავს ადგილას დგას — ის განსაცდელის დროს თავის პოზიციას არ ტოვებს და პასუხათ სამხედრო დიქტატურისა აცხადებს საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას. მოწყდა ერთი კუთხე მეორე კუთხეს, ერთი ქალაქი მეორე ქალაქს, — აღარ დადის მატარებლები, აღარ მუშაობს ფოსტა-ტელეგრაფი, იკეტება ფაბრიკა ზაოდები. მეფის მთავრობა წინდაწინ მოელის ამას და გუბერნატორებს უფლებას აძლევს თუ საჭირო იქნება თავისი ნებით გამოაცხადოს სამხედრო წესები. და აი გუბერნატორებიც აცხადებენ სამხედრო წესებს და ხალხის ბედილბაღს აბაზებენ გენერლებს.

თფილისში გამოცხადებულ იქმნა სამხედრო წესები, რკინის გზა გადავიდა სამხედრო უწყების ხელში. თფილისის პროლეტარიატს ემუქრებოდა განადგურებით. ასეთია მდგომარეობა სხვაგანაც.

თავისუფლება განსაცდელშია! როგორი უნდა იყოს ასეთ დროს ჩვენი ტაქტიკა, რას უნდა ვმერებოდეთ ჩვენ იმ დროს, როცა მთავრობა იკრებს უკანასკნელ ძალებს და ცდილობს ძველი რეჟიმის აღდგენას?

ვაცალოთ მთავრობას, — ამბობენ ლიბერალები, რევოლუციამ უნდა წყდეს, ანარქიას ბოლო უნდა მოეღოს და მთავრობაც მაშინ შეუდგება თავისუფლების განხორციელებას. ამიტომ ისინი ნდობას უკადებენ ვიტტეს მთავრობას და გვირჩევენ ვავჩერდეთ იმ დროს, როცა ისინით მოპოვებულ თავისუფლებას ხელიდან გვაცლიან, როცა თითქმის მთელი რუსეთი სამხედრო წესებზეა გამოცხადებული. მაშ, ეს ხომ თავისუფლების ღალატი იქნებოდა?

ჩვენი მიზანია დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება. მოპოვებული თავისუფლება პირველი ნაბიჯია ამისკენ. ამიტომ ამ თავისუფლების გამაგრება და გაფართოვება, აი რას უნდა მივაქციოთ ჩვენ ყურადღება. ეს უნდა მოხდეს მუდმივი ბრძოლით, მუდმივი რევოლუციის წარმოებით. ყოველი ყოყმანი აქ რეაქციის გა-

ძლიებას და რევოლუციის დასუსტებას ნიშნავს.

მთავრობის მებანჯში მოიშალა. საზოგადოებრივი ცხოვრება აირღარია. ძველი მთავრობა თავის ადგილას აღარ არის, მარა არ არის ღრც ახალი. არის მხოლოდ ორი მოპირდაპირე ძალა: რეაქცია და რევოლუცია. რეაქცია მოიწვევს თავისუფლებებზედ, რევოლუციამ წინ უნდა შეხედეს მას და იერიშზედ კონტრიერიში მიიტანოს. მოგერების ტაქტიკა დღეს გამოუსადეგარია — ყოველი ცდა და ყოყმანი დღეს ამხნევეებს და ძალას მატებს რეაქციას.

ყოველი აქტიური წინააღმდეგობა წელში სტებს და ასუსტებს მას. ამიტომ განუწყვეტელი იერიში, ყოველ მხრე თვე დასხმა მათქედ — აი როგორი უნდა იყოს დღეს ჩვენი ტაქტიკა! მხოლოდ ამ გზით და ამ საშუალებით შეიძლება რეაქციის ალაგმა და ნამდვილი თავისუფლების დამყარება. თავისუფლების ერთგული მექომაგე და რევოლუციის ავონგარდი — პროლეტარიატი მედგრაათ უზღვედა წინ მთავრობას. მან უპვე გამაცხადა: თავისუფლება განსაცდელშია და ააფრიალა დროში აჯანყებისა. მოვალეობა ადამიანის, მოვალეობა მოქალაქის აიძულებს ყველას, ვინც მთავრობის დაცემას ცდილობს, გვერდში ამოუდგეს პროლეტარიატს და იარაღთ ხელში დაეცვა თავისუფლებას!

აფიცრების მიტინგის გაშო.

თითქმის ერთ კვირაზე მეტია, რაც ხმები გავრცელდა, რომ ქუთაისის აფიცრება თავის საქმეებზე მოსალაპარაკებლათ მიტინგს მართავს და ამასთანავე უნდა კახაკების თავგასულობის შესახებ რეზოლიუცია გამოიტანოსო. ხმები გამართლდა; მიტინგი გაიმართა 23 დეკემბერს, მხოლოდ კახაკების საგმირო საქმეები მივწყებულ იქმნა, მათზე კონტრი არავის დაუძრავს. აბა რა გააკეთეს აფიცრებმა თავის მიტინგზე? რაკითხვებზე იმსჯელეს, რა დაადგინეს, უნებურათ იკითხავს მკითხველი. ბევრი რამ დაუდგენიათ აფიცრებს, მარა ჩვენთვის მხოლოდ შემდეგია საინტერესო: ქუთაისის გუბერნიაში და ქუთაისში არ იქნეს შემოღებული

სამხედრო წესები, მცხოვრებლებს იარღი არ აეხადოს, არ იქნეს მოკლული სამხედრო პირთაგანი ვინმე, ქალაქის ფულები იმ ფასებში მიიღებოდეს, როგორც აქამდის ყოფილა, გაფიცვის ბიუროში სამხედრო წრიდგანაც იყოს წარმომადგენელი. ყველა ეს მოთხოვნებიც ცხადათ გვეუბნებიან, რომ აფიცრებამაც ჩათრევია თავის მორევში რუსეთის დიდებულ რევოლუციას; სამხედრო წრეებიც, რომელნიც ბრძენ პოლიტიკოსთა აზრით. პოლიტიკის გარეშე უნდა იყვენ, დღეს პოლიტიკაზე მსჯელობენ და რეზოლიუციები გამოაქვთ. ვის მიწართვენ თავის რეზოლიუციებში ქუთაისის აფიცრები? ერთის მხრით მეფის მთავრობას, რომელიც სამხედრო წესებით იმედოვნებს რუსეთში რევოლუციის ჩაქრობას და მეორე მხრით მცხოვრებლებს, უკეთ რომ ვაქვათ, იმ პარტიებს, რომლებსაც მცხოვრებლებში სიმპატია მოუპოვებიათ და მკვიდრი საფუძველი აქვთ. აფიცრები მეფის მთავრობას პირდაპირ ეუბნებიან; სამხედრო წესები არ შემოიღო, ხალხს იარაღი არ აპყრო. ამით აფიცრები გენერალი მალამას ბრძანებას პროტესტს უცხადებენ. მალამა ბრძანებს: დაუყოვნებლივ მთელ ქუთაისის გუბერნიაში მთავრობის უფლება აღდგენილ იქნეს, მცხოვრებლებს იარაღი ჩამოერთვას, რკინის გზები დაცული იქნეს, ესე იგი პროლეტარიატს ჩამოერთვას. აშკარათ ჩანს, მეფის მთავრობის მოქმედება აფიცრებსაც არ აკმაყოფილებს; ალბათ უკვე შეუზნიათ, რომ სამხედრო წესებით რევოლუციის მსვლელობის შეჩერება შეუძლებელია; სამხედრო წესების ცხოვრებაში გატარება სამხედრო კაცების საქმეა, ეს აფიცრებს, როგორც ჩანს, სათაქლოთ მიუმჩნევიათ. კარგი და პატიოსანი. ეს ამბავი ფრიად სასიამოვნოა ჩვენთვის, მაგრამ აფიცრებმა თუ ერთი მხრით მთავრობას მოთხოვნილება წარუდგინეს, მეორე მხრით პარტიებსაც მოთხოვეს: სამხედრო პირთაგან არავინ იქნეს მოკლული. რა საჭიროა იყო ეს მოთხოვნილება, რამ გამოიწვია იგი? აფიცრება თუ მხარს დაუჭერს განმათავისუფლებელ მოძრაობას, თუ მეფის მთავრობის წინააღმდეგ პროტესტს გამოაცხადებს და ამით შეუმ-

ცირებს. ხალხს მწვავე ტყვილებს, რასაც იგი განიკდის დიდი ხანია, არა თუ შიში არ მართებს, პირიქით მათი სახელი იტორიის ფურცლებზე წითელი ასოებით იქნება ჩაწერილი. და თუ ხალხის მოძრაობას წინ აღუდგება, მაშინ შეტაკება აუცილებელია. აფიცრობას უნდა ახხოვდეს 9 იანვარს პეტერბურგის ქუჩებზე უიარაღო, უდანაშაულო ხალხის უმწიკვლო სისხლის დაქცევა; აფიცრობას უნდა ახხოვდეს ლოდში, ოდესა და სხვა მრავალი ქალაქში, სადა მათი ბრძანებით, ასობით და ათასობით, ცხელი ტყვიებით ხალხის გულს ხვრეტდა. აფიცრობა ვალდებულა მოაგონოს მთავრობას, რომ ასეთი საშარცხენო როლის შესრულება ეწინააღმდეგება მათ პრინციპს.

მეორე მოთხოვნა პარტიის სადმი ქალაქის ფულების მიღების შესახებ ბაზარზე, სწორედ რომ ახირებულია. ქალაქის ფულს მაშინ აქვს მნიშვნელობა და გასავალი, როცა მას ოქროზე და ვერცხლზე ახურდავებს სახელმწიფო ბანკი, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქის ფულები შპალერათ თუ გამოგება, მეტათ არაფრათ. ეს ძარტივი ქეშმარიტება აფიცრეს ვერ შეუგნიათ. ხალხი მიდის ხაზინაში, ბანკებში და ოქროს მოთხოვნს ქალაქის ფულის ადგილზე, ხალხს ამ საფუძვლიან მოთხოვნაზე უკვე უარს ეუბნებიან. აი ეს უარი იწვევს ქალაქის ფულების ფასების დაცემას, ბაზრიდან განდევნას აქედან მხოლოდ ერთი დასკვა შეეძლო აფიცრობას გამოიტანა: მთავრობა ვალდებულია ქალაქის ფულები ოქროზე და ვერცხლზე გადაახურდავოს და თუ ამას ვერ შესძლებს, მაშინ თავისთავი კოტრათ უნდა გამოაცხადოს მოთხოვნა პარტიებისათვის როდი უნდა დაეყენებია აფიცრებს, მთავრობისათვის, რომელიც არ, ან ვერ იძლევა ქალაქის ფულებში ოქროს და ვერცხლს.

დაგვიჩა უკანასკნელი მოთხოვნა: გაფიცვის ბიუროში სამხედრო წრიდანაც იყოს წარმომადგენელი, რათა რკნის გზით სარგელობა ჩვენს შეგვეძლოს. ეს მოთხოვნა იმ შემთხვევაში შეიძლება შესრულდეს, თუ აფიცრობა იმასვე მოითხოვს, რასაც რუსეთის პროლეტარიატი დიდი ხანია დაჯინებით მოითხოვს: მოწვეულ იქნეს დამფუძნებელი კრება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით; 17 ოქტომბერს წანაგლეჯი თავისუფლებანი წამდვილათ იქნეს ცხოვრებაში გატარებული და არა ისე, როგორც ეს გრაფ ვიტეს სამინისტროს ესმის. ვიტეს კაბინეტმა ფებქვეშ გათელა სიტყვის, ბეჭდვის, კრებების, კავშირების თავისუფლება. პიროვნების ხელშეუხებლობა პიროვნების ცე-

მაში, გამათრახებაში და დატუსაღებაში გამოიხატება, აფიცრობას რუსეთის რევოლუციამ პირდაპირ დაუყენა ალტერნატივა: ან ხალხთან და ან ხალხის წინააღმდეგ, შუაში გაჩერება შეუძლებელია უკვე დადგა ის დრო, როცა აფიცრობამ კითხვებზე გარკვეული, მოჭრილი პასუხი უნდა მიცეს ცხოვრებას, ამიერიდან ადგილი არ უნდა ჰქონდეს ორჭოფულ მოქმედებას.

ახალი ამბები.

ქუთაისის კახაკები ძლიერ თავ-აშვებულათ იქცევიან. ლამაზობით გამვლელ-გამომვლელებს ცარცვენ. 21 დეკემბერს ნიჟარაძის შენობასთან საღამოს შვიდ საათზე, ქუჩაში კახაკებს გაებათ სინა, რაშია ცერთი ახალგაზდა ემაწვილი, რომელსაც ნაყიდი შაქარი მიქონდა, გაეხლართა და მიწაზე წაიქცა. ამ დროს კახაკები წაქცეულს მიცინოდნ და შაქარი წაართვეს და პალტოს გახდაც დაუბირეს, მაგრამ რალაც მანქანებით ვერ მოახერხეს.

ხუთშაბათს, 22 დეკემბერს, ბალახვანის ქუჩაზე, ნაშუალამეის პირველ საათზე, 4 შეიარაღებული კაცი შეუტყვნდა ვასილ კოსტავას და წაართვეს 20 მ. და ვერცხლის ნივთები.

ხუთშაბათს, 22 დეკემბერს ყველა ქუთათური „სტრუქნიკები“ თავის იარაღებით გადაიყვანეს კახარაში. ასეთი განკარგულება გამოიწვია იმან, რომ მათზე ეჭვი შეუტანია მთავრობას, გაჭირვების დროს ხალხს მიემხრობიანო. მათი ბარაკადების დროს მოქმედება მართლაც ამის ნიშნებს იძლეოდა.

ქუთაისში შემდგარა ჯვუფი რომლებიც დადიან სოფლებში და ატყუილებენ ხალხს, რომ ქალაქის ფული აღარ გადისო და ყიდულობენ მესამედ და ნახევარ ფასებში და მიაქვთ ქალაქში; დადიან თურმე ისეთებიც, რომლებიც ატყუილებენ გლეხებს, ფულს მოგიჭრითო. ამათი ბელადი აღმოჩნდა მეღვინე თეოფილე ბაბუნაშვილი, რომელიც დაიჭირა ყაფანთან 20 დეკ. ორმა გლეხმა პავლია ნოსელიძემ და ცირიკიძემ. პირველისთვის გამოუტყუებია 200 მ. ხოლო მეორესთვის 97 მან. იგი გადაცეს ორგანიზაციას გასასამართლებლათ.

ბალახვანის ქუჩაზე მ. ლალიძის მინერალური ქარხნის გვერდით არის ჩასახვევი რიონზე, საიდანაც მეთულუხებებს წყალი ამოაქვთ. აი ამ ადგილზე დიდი ხნიდან აქვთ გაკეთებული გზა კახაკებს და სადგურიდან 1 1/2 ვერსის მანძილზე დაყავთ ბალახვანის ქუჩით ცხენები დასარწყულებლათ. მათი ამ ალაგზე სიარული ბევრ ხიფათს იწვევს ხოლმე მცხოვრებლებსა და მათ შორის ქალაქის საბჭომ ბევრჯერ აღძრა

შუამდგომლობა, რომ მათთვის აღეკრძალათ ამ სიშორეს ცხენების ტარება შუაგულ ქალაქში, მაგრამ ვერას გახდენ, თუმცა მათ კახარმებთან უფრო ახლოს მოექმდნებათ რიონზე ან წყალწითელაზე მისასვლელი ადგილი, დღეს ამას ისიც დაუმატე, რომ ცხენების ნეხვს კახარმებიდან ამ ალაგას დაუწყეს ზიდვა და რიონის პირში დაყრა. ეს ნეხვი რიონს ნელ-ნელა მიაქვს და უწამლავს წყალს მთელი ბალახვანის მცხოვრებლებს, რომელნიც ამ წყლით სარგებლობენ. დაჯაბნებაც ასეთი უნდა.

გუშინწინ ღამით კახიანურში გაცარცვეს საოლქო სასამართლოს ყარაული ი. კალატოზოვი, რომელსაც წაართვეს 70 მ.

ვინმე გაიოზ აბულაძეს უნახავს ბალდადის გზაზე ხალიჩა. პატრონს შეუძლია მიმართოს ს. კვახტირის ასის თავს და ნაპოვნს მიიღებს. არის აგრეთვე ნახული წყალწითელას ხიდთან ქალის გეიშა (მოსახურავი); დამკარგველს შეუძლია მიმართოს იოსებ პატარიძეს, საფიჩხის ეკლესიასთან.

გურიის ამბები.

1) კერას 18 დეკემბერს ლანჩხუთის საზოგადოების ყველა ეკლესიებზე (7 ეკლესია) მოხდა მრევლთა კრება და ერთხმად დადგენილ იქნა: გამოიტანონ ყველა ეკლესიებიდან შეგროვილი ფულები და მოახმარონ იარაღის შექმნას. ეს ფულები გადაეცემა სამხედრო ბიუროებს, რომელნიც ამ ჟამად ყველა კუთხეშია არჩეული.

2) არჩეულ იქნა აგრეთვე ყველა სოფლებში კომისია; კომისიაში არჩეულ არიან ქალებიც.

კომისიის მოვალეობას შეადგენს შეგროვოს ფული წითელი ჯვრის სასარგებლო.

3) შესდგა აგრეთვე სანიტარული რაზმი.

4) 23 დეკემბერს მოხდა ნიგოთში მიტინგი. მიტინგს დაესწრო რამდენიმე ათასი კაცი, როგორც ნიგოთიდან, ისე ქარეისუბნის საზოგადოებიდან. მიტინგმა განიხილა თფილისის ახლანდელი მდგომარეობა და შესაფერი რეზოლიუცია გამოიტანა;

5. 7 დეკემბერს ლანჩხუთში მოხდა ლანჩ. საბოქაულოს სკოლების მასწავლებელთა კრება. კრებამ კამათის შემდეგ დაადგინა: თუ სამხრო ხელმძღვანელ ორგანიზაციის შედგენა არ მოხერხდება, შედგეს სარაიონო ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ ყველა იმ სკოლებს, რომლებიც კი არსებობს ამა თუ იმ რაიონებში 2) გადაიდოს 20% ლექტორის მოსაწვევად და სამასწავლებლო ბიბლიოთეკის დასარსებლათ, იმ ფულებიდან, რომელთაც მიიღებს მასწავლებლები დი-

რექციიდან, როგორც შემწეობას. ამას გარდა კრებამ განიხილა რამდენიმე წერილობანი კითხვები. დასასრულ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ეწინააღმდეგება გამოდის სოც.-დემ. თვალთა ხედვის ისრიდან, რომელიც მღვდლებს არავითარ ადგილს არ აძლევს სკოლაში, ამიტომ კრებამ ერთხმად უარყო, რომ მღვდლებს ადგილი ექმნას სკოლებში.

პარტიიდან.

20 დეკემბერს მოხდა ქ. ოზურგეთში მეორე კონგრესი. კონგრესს დაესწრო კოლექტივის, კომიტეტის და რაიონული პროპაგანდისტების ორგანიზაციის წევრები. კონგრესმა პირველ ყოვლისა განიხილა კავკასიის ს. დ. მ. პ. ბიუროს წერილი და გამოიტანა შესაფერი გადაწყვეტილება, რის შემდეგ შეიმუშავა კონგრესზე გასარჩევი კითხვები და შემდეგ კონგრესი გადაიდო სხვა დროისათვის.

დექემბერი.

ოზურგეთში. ქუთაისში სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას.

დღეს მიტინგზე დაესწრო რამოდენიმე ათასი კაცი და ბევრი სალდათი. მიიღეს რეზოლიუცია გურიის კონგრესისა. გურულები მზათ არიან მხარი დაუჭირონ თფილისის პროლეტარიატს ყოველგვარი საშვალებით თვით შეიარაღებულ აჯანყებამდე. მიტინგმა პარტივი სკა ქართულ და რუსულ ენაზე „Вы жертвой пали“-ს გალობით. მიტინგის შემდეგ გამართა დიდებული დემონსტრაცია მთელ ქალაქში ჩამოვლით. მიტინგს და დემონსტრანტებს იცავდა მებრძოლთა დრუჟინა. მიტინგში ილაპარაკეს სოციალდემოკრატმა ორატორებმა.

ბათუმი. საალყო წესები უკვე მოიხსნა, მაგრამ არესტები ხშირია, დაიჭირეს 9 კაცი. მიტინგები და კრებები ჩვეულფორმით იმართება.

მისაილოში ადგილობრივი გარნიზონის აფიცრმა მოსთხოვა სადგურის უფროსს გადასცეს კლიტეები, დასცალოს სადგური და ჩააბაროს პარავოზები.

სიამტრედის ორგანიზაციამ რ. ს. დ. მ. პ. აღნუსხა მოელი ფოსტის ავეჯეულობა და ჩაიბარა იმ დრომდე სანამ ფოსტა-ტელეგრაფი ნორმალურათ დაიწყებდეს მუშაობას.

ბათუმი—მოქალაქეთა შორის დაქერა ჭ გაჩხრეკა არ ყოფილა. 20-დან 22-დი დაიჭირეს 11 სალდათი და 3 თავისუფალი კაცი.

ვერ ვუღალატებ.

(საშლხაო)

დეკემბრის ცივი და სუსხიანი საღამოა, მთვარეს კაშკაში გააქვს და ვარსკვლავები საამურათ ციმციმებენ. ძირს დედამიწაზე ისეთი ყინვაა, რომ ქვებიჯი კი იძვრიან სიცივისაგან, მაგრამ მიუხედავად ამისა მთელი ქალაქი მოძრაობს და რაღაც არა ჩვეულებრივ ფაცა-ფუცშია. აქა-იქ გამოჩნდებიან ხოლმე პაწია ბიჭებთა გუნდი და მწყობრად გალობენ „ალილოს“ — ულოცავენ ხვალისდელ დიდებულ დღეს, დღეს ქრისტეს დაბადებისას. მაგრამ ყველაფერს ბოლო აქვს და ამ სიცოცხლე-ხმაურობასაც მიეცა თავისი ბოლო, — მიწყდა ნელ-ნელა მცხოვრებთა ხმაურობა და ბოლოს ჩამოვარდა სრული სამარისებურად სიჩუმე. ყველამ თავის სახლსა და ლოგინს მიაშურა და მიეცა განსვენებას. მხოლოდ ვხედავთ მარტო ერთ აჩრდილს, აჩრდილს ჯარის-კაცისას, ეს გახლავთ ჯარის-კაცი, მას მხარზე თოფი აუდევს და ნელი ნაბიჯით წინ და უკან ის დასეირნობს. მერე ვის მწყესავს, ან რა საქმე აქვს ამ ყინვაში აქ რომ თავს იკლავს?

— გენერალს მწყესავს და მონურათ კანონსა იცავს. მაგრამ ის შესდგა, ყინვისაგან ხელ-ფეხ დაძრული, ფარაჯას იწვეს და კედელზედ ის მიეყრდნობა, ამოიხვნეშებს მწარის სვედით დაღონებული და თავის თავსა ჩაეკითხება:

— ნუ თუ მეც ადამიანი არა ვარ, რომ ამ ყინვაში ამ კედელთან ვით პირუტყვი ისე მიმჯაჭვებს!? მერე ვის ვყარაულობ?! მას ვინც ჩემებრ ადამიანია, მაგრამ გული კი არა აქვს. სულ ჩამჩინებს: ძმების ხოცვას, ძამების აწიოკებას, დების გაუბატოურებას, მეგობრებთან ვავლას მიკრძალავს, ენას მგლეჯს — სიტყვის ნებას არ მაძლევს, სინდისს მიხშობს, გრძობა-გონებას თავიდან მტაცებს. მეც ფიცი მივეც და მერე ვის? — ვინც მუდამ მარტო სისხლის სმიდან არის დამთვრალი.

მაგრამ ეს ხომ „კანონია“ ჩვენი კისრისთვის გამოთლილი, ვით ხარისთვის მძიმე უღელი! — შიგ შეგვაბმენ, სახრეს თან გვცემენ და გვერეკებიან უგზო-უკვლოთ საითაც სურთ ჩვენსა ბატონებს. დახე დღესაც, როდესაც რომ დიდებული დღე არის ყველგან, მე აქ ვდგევარ ამ სუსხიან ყინვიან ღამეს. მას ვდარაჯობ, ვინაც რომ გუშინ ჩემი ძმები დააწიოკა, და სიმართლისთვის

ტყვიის ზუზუნის მისცა პასუხათ. მეც მათთან ვიყავ და გამხადეს ამის მოწამე. თვალწინ მიდგას მე საზარელი ის სურათი და სისხლი მათი სულს მიშფოთებს, გულსა მიწამლავს.

არა, არ მინდა რომ გავხთე მე მოღალატე ტანჯული ხალხის, და გავისვარო ძმის სისხლით მურტალი ხელი. მეც მათთან წავალ, — მიჯობს ათასწილ, რომ მათი ჭირი მეც შუა გავიყო, წავალ იქ, შორს ჩემს მიწაწყალში, სადაც იგივე ტანჯვა არის გამეფებული, სადაც ურდონი დათარეშობენ მტარვალისაგან გამოგზავნილი. მეც იქა მივალ სადაც დედ-მამას გარეთ მიყრიან, შველა არსით აქვთ, უმწეონი, მშვიერ-მწყურვალნი ქუჩაში ყრიან. იმ დროს როდესაც მთელი ხალხი გაღვიძებულია, შველას თხოულობს, თავისუფლებას მიეწვრება, მე არ შემშვენის აქ მკვდრათ ვეგდო ვითა მანქანა უვარგისი, გადმოტყორცნილი.

ასე ფიქრობდა, ჯარის-კაცი ყინვისაგან შეწუხებული, რომ ხელი წაკრა და თოფს წააძრო შუბი ლულას წამოგებული, თოფი დამალა, — ფარაჯაში ამოიფარა და გაუდგა თავის გზაზედ გაჩქარებული.

მზემ კიდევ ამოაშუქა და თავისი სხივები შეათამაშა მაღალ მთის წვეროვებზე, როდესაც ჩვენი ჯარის-კაცი მიუახლოვდა თავის კარ-მიდამოს, შეალო თავისი ნაცნობი ქოხის კარები და მხიარულათ შიგ შეიძახა: — გილოცავ დიდებულ დღეს ჩემო დედილო, შენთვის მხოლოდ დღეს იშვა ქრისტე, რომ გამოვიქვც და არ გავხდი ძმის მოღალატე, მით იამაყე მოხუცო დედა და დაიტკბე შენი სიბერე.

მე კი ვიბრძოლებ ჩემ ძმებთან ერთათ შენს სასახელოთ, რომ მოვიპოვოთ ის დიადი თავისუფლება, რასაც ესე სიხარულით ეტრფის მთელი კაცობრიობა. ვინც რომ სისხლის სმას მე მასწავლიდა მასვე გაუბობ გულს ვაჟკაცურათ. ეგ მათი თოფი, მათი ტყვია მათ წინააღმდეგ ამოძრავდება და ჯალათების იმედ-ნუგეში ცივსა სამარეს ჩაესვენება...

ად. კახიკაძე

ჩვენ სოციალისტ-

ფედერალისტებს.

გაკვირთ.

„მშრომელი ხალხის ძლიერებამ მოსპო რუსეთში თვითმპყრობელობა და ახლა თავგანწირულათ ებრძვის მის უკანასკნელ ნაშთებს! ხოლო როცა ჯერ კიდევ გასაუგებელი არ არის ეს სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა, თავი წამოყო მეორენაირმა თვითმპყრობელობამ, რომელიც სოციალ-დემოკრატიის სახელს ატარებს. ახალი თვითმპყრობელობის ძალმომრეობა დიდათ არ განირჩევა ძველისაგან, თუმცა უფრო გასაკიცხია, რადგან ახალი ჯურის თვითმპყრობელობა თავისუფლების სამოსელში გამოხვეულაო, ასე ახასიათებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეს რედ წოდებული „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა“ პარტია. დაძვინახებით, რომ ეს მეტათ ღირს-შესანიშნავი და საგული ხმერო დახასიათებაა, ამიტომაც, იმედია, არ მიკვირებთ, თუ ოდნავ შევჩერდებით მასზედ და გავარკვევთ, რაშია საქმე.


უპირველესათ ყოვლისა ჩვენ ვტყობილობთ, რომ მშრომელი ხალხის ძლიერებას რუსეთში თვითმპყრობელობა მოუხსნია. მეტათ სასიამოვნო აზრებია, რა თქმა უნდა, მხოლოდ საკითხი ის არის, თუ ვინ არის ეს მშრომელი ხალხი, ან რა ეწოდება მას? ბურჟუა-კაპიტალისტი, ჩარჩა-ბაცაცა, დახვესებული ბიუროკრატი, მამლა-ყინწა აფიცერი, ფარისეველ-მწიგნობარი, მღვდელი, ჯიბგირი, ჯაშუში, დღეს ყველას მშრომელ ხალხათ მოაქვს თავი. მაშ ვინ ყავს სახეში ბბ. სოციალისტ-ფედერალისტებს, როცა გვითითებენ მშრომელი ხალხის მიერ თვითმპყრობელობის მოსპობაზედ?

ალბათ გლეხკაცობა უნდა ვეგულისხმოთ, მხოლოდ საქმე იმაშია რომ რუსეთში გლეხკაცობა და თვითმპყრობელობა მთელი საუკუნოების განმავლობაში ერთათ არსებობდნენ და არა თუ არ სპობდნენ ერთმანეთს ამგვარებდნენ კიდევ, ეს ვგონებთ, ისტორიული ფაქტია და მისი უარი ყოფა მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტებს თუ შეუძლიათ, მაგრამ ეს კიდევ არაფერი; მოვაგონებთ ჩვენ სოციალისტ-ფედერალისტებს, რომ გლეხის გაღვიძებ-გამოფხიზლებას არა ერთმა შეგნებულმა მუშაკმა შესწი-რა თავი, მაგრამ დღემდის ეს გლეხი მაინც „ცარ-ბატუშკას“ შეთაყვანებოდა. მაშ რომელია ის მშრომელი ხალხი, რომელმაც მოწინავე რაზმი შეადგინა. ყიჟინა დასკა თელ რუსეთის საზოგადოებას, შეაშფოთ-შეამძრია იგი ძირიანათ, საღათას ძილი დაუფრთხო მას, ასტენა საშინელი ჟრიაბული, რევოლიუციის ნადვრდალი გადააყარა მოდუნებულ ხალხს, ვააშმაგა იგი, სისხლი აუჩქ-

ფრა გული არა ჩვეულებრივით აუღგერა, — იმედი და სასოება ჩაუსახა, სამართლიანი შურისძიების ცეცხლი წაჰკადა, აწყყოს შენაქვედნ დატყუ-ტანელობა აგრუნობინა (დედა) მომამალს ნათელი მოაფინა; რა ჰქვია იმ შრომელ ხალხს, რომელმაც დღეს საანბანო ქეშმარიტებათ აქცია, რომ კლასთა შორის შეურტიგებელი წინააღმდეგობა არსებობს, რომ რუსეთის ბურჟუაზია, ბიუროკრატია, სამღვდელოება, აფიცრობა, ყველა ეს კლასები და წოდებანი დღეს სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლას ეწვეიან. რომ ბრძოლიდან უვნებელი გამოვიდნ და ხალხის ბატონ-პატრონობა შეინბრჩუნონ? ვინ დასძახა პირველათ ჰკა მ-გასო, ვინ მიიტანა თვალწარ-მტაცი, მტრის თავ-ზარდამკეში იერიში თვითმპყრობელობაზე და ვინ დასჭრა იგი სასიკვდილოთ? გიჭირთ განა ამ მშრომელი ხალხის სახელის ხსენება! მაშ ჩვენ გეტყვი: ეს მშრომელი ხალხი რუსეთის პროლეტარიატი გახლავს. გესმით ბბ. სოციალისტ-ფედერალისტნო და ძმანო მათნო? დიახ, პროლეტარიატია, იცოდეთ კარგათ! უეჭველია თქვენც ვაგიგონით ეს სახელი, მაგრამ სჩანს კარგათ ვერ იცნობთ მას; მაშ ვაგაცნობთ.

პროლეტარიატი გახლავთ ის კლასი, რომელიც უარსაყოფს ყოველგვარ უტოპიას. მაგალითათ პროლეტარიატს სასაცილოთ არ ყოფნის, როცა სხვადასხვა ჯურის რევოლიუციონერები მშრომელ ხალხს, თუნდ გლეხობას პირდებიან ერთი დაკვირთ სოციალიზმის სამეფოში დაგასკუბებთო.

ან როცა წვრილ მესაკუთრეს, რომელიც გაჟღენთილია წვრილ ბურჟუაზული ინსტინქტებით დღესვე ბუნებრივ კომუნისტათ გარდაქმნას უპირებენ, ან როცა იმ მიწის ნაკვეთებს, რომელსაც წვრილი მესაკუთრე გლეხია იგი თუ სხვა ვინმე, ისე შეცქერის, როგორც თავის ორ თვალთ, განასაზოგადობრივებას, სოციალიზაციას უქადაიან, ან როცა სერიოზულათ გვიქადაგებენ, რომ სოციალიზმი ჯერ უნდა განხორციელდეს სოფელში, სადაც მესაკუთრე იქ შედუღებია თავის მამა-პაპურ კავს, როგორც ფოლადი რკინას, და შემდეგ ქალაქში, სადაც შრომა ათასჯერ და ათი ათასჯერ უფრო განასაზოგადოებრივებულა. დიახ, პროლეტარიატს, როგორც კლასს, როგორც მოწინავე რაზმს დიდი რევოლიუციისას, ყოველივე ეს სასაცილოთ არ ყოფნის როგორც უტოპიური, წვრილ-ბურჟუაზიული და ფრიათ რეაქციონული რამ. პროლეტარიატი ის კლასია, რომელიც დღეს იბრძვის, რომ ძირიან-ფესვიანათ ამო-გლოჯოს ყოველგვარი ნაშთი ფეოდალურ, ბატონყმური წარსულისა ერთხელ და სამუდამოთ მოსპოს თვითმპყრობელობის ნიადაგი, მოუხსნოს სა-



შეაღებო ბურჟუაზიას, რომ მან ხე-
ლი არმისცეს მამაკვდავ თვითმპყრო-
ბელობას და მით არ გაიმავროს პო-
ზიცია და არ გაბატონდეს, როგორც
ეს ჩვეულებათ აქვს ხალხმე მას, რომ
გლახეკაცობა არ შედგეს, იქ და იმ
დროს, როცა განსაკუთრებით საჭირო
იქნება მისი რევოლუციონური გა-
მოლაშქრება; პროლეტარიატი ის
კლასია, რომელმაც თვისი ძლიერ მო-
სდლობა და თვისი ძალა კიდევ უფრო
მეტად უნდა აგრძნობინოს ყველას და
თვისი გამარჯვება ყოველ მხრივ ფაქ-
ტით აქციოს, რათა ჯარი, რომელზედაც
დღემდის დაყრდნობილი იყო თვით-
მპყრობელობა, რაც შეიძლება მალე
დარწმუნდეს, რომ იგი უნდა შეუ-
რიგდეს მებრძოლ პროლეტარიატს,
თუ სურს, რომ მოახლოს, მუდმივ
შეურაცხყოფას, დამცირებას, შიმშილს,
წყურვილს და სხვა ათას გვარსატან-
ჯვედს და უსამართლობას თავი დაახ-
წიოს. პროლეტარიატი ის კლასია,
რომელიც იბრძვის, რომ რაც შეი-
ძლება მალე მოახლოს ის წოდება, რო-
მელიც დღემდის ცრუმორწმუნეობით
ასახრდობდა ხალხის ქვე-გონებას
და უხვით აპატიებდა თვითმპყრობე-
ლობის არსებობის ნიადაგს, სახელ-
დობრ სამღვდლოება. ერთი სიტყ-
ვით პროლეტარიატი იბრძვის, რათა
ყოველივე ის, რაც ოდნავ არი ხელს
უშლის რევოლუციონურ ძალთა
გარდაშლას და ზრდას დასთავუნოს
მოსპოს, არარათ აქციოს. სძლიოს
ყველა ის ელემენტები, რომელთა
ყოფნა-არყოფნა შეკავშირებულია არ-
სებულ წესწყობილებასთან; ჩაქაჩეთ
და კინწვის კვით შიერეკება ი იწინ,
ვინცლამის შესდგეს, უკან მოხედოს,
წარმავალს შეუკავშიროს არსებობა
და ბატონობა მოინდომოს; მებრძოლ
პროლეტარიატს თვის ლოლიკურ დას-
კვნამდი მიყავს რუსეთის დიდი რე-
ვოლუციის. არც ერთი ქვეყნის პრო-
ლეტარიატისთვის დღემდის რევოლუ-
ციის ისეთი დიადი და ძნელი რო-
ლი არ ურგუნებიათ როგორც არგუ-
ნა რუსეთის პროლეტარიატს. ბურ-
ჟუაზია, რომელიც სხვა რევოლუ-
ციების დროს ბევრ შემთხვევაში
პროლეტარიატთან იბრძოდა თვით-
მპყრობელობის და თავდა-ახნაურო-
ბის წინააღმდეგ, დღეს, ბრძოლის
დაწყებისთანავე თვითმპყრობელო-
ბის ბანაკში გადადის. ეროვნული
კითხვები, რომელნიც ასე მცირე
როლს თამაშობდნენ თუნდ საფრან-
გეთის დიდი რევოლუციის დროს,
აქ პირველ საკითხად გაუხდიათ სხვა-
და სხვა ჯურის სოციალისტ-ლიბე-
რალ-დემოკრატებს და ლამობენ დაქ-
საქსონ პროლეტარიატის გაერთიან-
ებული ძალა. სამხლვარ-გარეთელ-
ბურჟუაზია და მასთან თელი ქვეყ-
ნის რევოლუციონური ძალები ვიღველ-
მების მეთაურობით, რომელთაც
დღემდის მოსვენებით ეძინათ, რაკი

ხედავდნენ, რომ რუსეთის თვით-
მპყრობელობა დარაჯათ უდგა თელი
ქვეყნის რევოლუციის, დღეს აღწეოთ-
ბულია და ძრწვის რევოლუციის წი-
ნაზე. ამიტომაც რუსეთის დიდი რე-
ვოლუციის შეუწყვეტილი რევოლუ-
ციის, რუსეთის პროლეტარიატი
ყველა ფრონტებზედ იბრძვის, მან
ერთი მეორეზედ უნდა დაამარცხოს
სხვადასხვა ჯურის მტერი; ერთი
წუთის შეჩერება მას ღიდ ზიანს
მოუტანს, მას არ შეუძლია და არც
სურვილი აქვს მეგობრულათ ხელი
გაუწვიდნოს ვისმე ბრძოლის დროს,
რადგან იცის, რომ მას ვერავინ ვერ
გაყვება ღიდ მანძილზედ დიდებულ
ბრძოლაში, ის დახმარებას არვისგან
არ მოელოს, მას მხოლოდ თავისი იმე-
დი აქვს; სხვა ყველა ან უკან მის-
ჩანხალებს მას, ან უკან ეხიდება ან
კიდევ თავს უფლის და წინ უხედება.
აი ვინ არის პროლეტარიატი.
აი, ბატონებო, ვინ არის ის მშრო-
მელი ხალხი, რომლის ძლიერებასაც
მოსპო, როგორც თქვენ ბრძანებთ,
რუსეთში თვითმპყრობელობა და აი
სწორეთ ამ პროლეტარიატის ღვიძლი
შვილია თქვენ მიერ სასაცილოთ
აღებული სოციალ-დემოკრატიული
პარტია. დიახ, მოსპო, მაგრამ რო-
გორ ფიქრობთ, რისთვის, რა მიზ-
ნით მოსპო? განა იმისთვის, რომ
წვრილ-ბურლუაზიულ იდეალების
მატარებელთ ეფარფაშნათ, ან სუ-
ლით ავათმყოფ, გალიუცინაციით
მოცულ მანაკებს, ანარქისტებს
ეთარეშათ? ან იმისთვის, რომ ლი-
ბერალებს დედგინათ თვითმპყრობე-
ლობის დამსხვრეული ციხე სიმაგრე
რომ თითონ მოეკალათათ შიგ პრო-
ლეტარიატის საყვლეფ-საცარცვადათ-
სცდებით თუ ამას ფიქრობთ და ამის
იმედი გაქვთ! პროლატარიატი, მშრო-
მელი ხალხი სოციალდემოკრატიული
პარტიის ხელმძღვანელობით მიტომ
იბრძვის და სპობს მეფის თვითმპყრო-
ბელობის ნაშთს, რომ თვისი, სწო-
რეთ მშრომელი ხალხის თვითმპყრო-
ბელობა დაამყაროს. დიახ, თქვენ
სრულიათ მართლად აღნიშნავთ იმ
ფაქტს, რომ დღეს მეფის თვითმპყრო-
ბელობის მაგიერ სოციალდემოკრა-
ტიული პარტიის თვითმპყრობელობა
არსდება, მხოლოდ სასაცილო ის
არის, რომ თქვენ ეს ახლა გაგიგიათ
და გიკვირთ კიდევ, თითქო
სინმარში იმყოფებოდეთ და თით-
ქოს მართლა უცოდველი კრავი,
ან უმანკო ტრედები იყვენ. დაიდეთ
გულზედ ხელი და, თუ თქვენში კი-
დევ არის გულწრფელობის ნატამა-
ლი მოიგონეთ ახლო წარსული და
სიტყვით; გიხაროდათ თუ არა, რო-
ცა ჩვენ მოკლებული ვიყავით სა-
შვალეობას სოციალ-დემოკრატიული
მოძღვრება სინათლეზე გამოგვეტანა
და ხალხში გავვევრცელებინა? დას-
ცინოდით თუ არა ამ მოძღვრების
მქადაგებელთ? ეძახდი თუ არა მათ

განრისხულებს, აღიარებდით თუ არა
საზოგადოების უკანონო შეილებათ
ყველას, ვინც პროლეტარიატში ხე-
დავდა მხსნელს თვითმპყრობელობის
კლანჭებისაგან? დღეს, როცა მან
გჩხნათ ამ კლანჭებისაგან, როცა
საშვალეობა მოგეცათ, ოდნავ არი
კაცებს დამსგავსებოდით, როცა პრო-
ლეტარიატმა პირში ჩაგჩართა სი-
ტყვის თავისუფლება და უტყვებს
ენა ამოგადგმევინათ, როცა მან თვი-
სი მძლავრის ხელით აგხდათ მო-
ნობის უღელი და წელში გამართვის
საშვალეობა მოგცათ, ახლა ყველაზე
მალლათ გაიძახით: გვიშველეთ, გვი-
შველეთ, ვინ ხართ მამაცნი, სოცი-
ალ-დემოკრატია გვახრჩობსო. ახლა
შას უნდა თვითმპყრობელობა დაი-
ჩემოსო. კომიკებო! წარმოიდგინეთ,
მოხდა საკვირველება, პროლეტარი-
ატმა და მასთან ერთათ სოციალდე-
მოკრატიულმა პარტიამ ჩაიჩოქა, მას
დროებით ძალა წაერთვა, მისი გე-
გემონია შეილახა! ვინ არის მისი
თავლები რომ სხვა რომელიმე პარ-
ტია თუნდ წვრილი ბურჟუაზიის
იდეოლოგები, ვთქვათ სოციალისტ-
ფედერალისტები ხელს არ წასწვდი-
ან გეგემონიისაკენ და არ მოინდომე-
ბენ მშრომელი ხალხის სვე-ბედის
გამგენი გახდნენ? ან რით აჯობებს,
რომ რევოლუციის მესვეურნი თქვენ
გახდეთ? იმ წამსვე სოციალისტების
მოახდენთ ფედერაციის გამოატყვრენთ
არა? მახლახ! არა მოწყალენო ხელ-
მწიფენო, სხვადასხვა თავისუფლე-
ბებს დღეს ბევრი არმიყი გამოუჩნდა;
მაგრამ ჩვენ საარშიყოთ არ გვცალია.
სოციალ-დემოკრატია მშვენივრათ
იცის, რომ თავისუფლებები ყოველ
კლასს, ყოველ წოდებას თავისებუ-
რათ ესმის და თავის კლასსიური და
წოდებრივ შახერ-მახერობისთვის
უნდა, რომ ეს თავისუფლებები ბა-
სრი იარაღია ბრძოლისა და არა ლა-
მაზი სიტყვები, ამიტომაც, ნურას
უკაცრავათ, თუ დღეს, როცა რე-
ვოლუციის ტალღები ერთი მეორეს
ეხეთქებიან, როცა ხელხართულ
ომში ვიტრიალებთ და ყოველის მხრით
ტყვია ზუზუნით მოდის, როცა სი-
სხლი სჩქეფს, როცა პროლეტარიატი
დაქრილი ლომივით სჭექს და იერი-
ში იერიშზე მიაქვს საზიზღარ მტრებ-
ზედ, როცა ძლიერ ადვილ შესაძლოა
დღევანდელი ვითომდა მეგობარი
პროლეტარიატისა ხვალ მისმოისხ-
ლე მტრათ იქცეს, დღეს, როცა პრო-
ლეტარიატისთვის, საჭიროა, რომ
სწენათ და ხედვათ იქცეს იგი, რომ
ხელიდან არვინ გამოგლიჯოს
ის, რაც უკვე მოიპოვა, ნურას უკა-
ცრავათ, თუ ასეთ დროს ჩვენ მშრო-
მელი ხალხის, ივავ პროლეტარიატის
თვითმპყრობელობას თამაშათ და ხმა
მძლავრად ვაცხადებთ. დაე, სავსებით
განხორციელდეს სოციალდემოკრა-
ტიული პარტიის ხელმძღვანელობით

მშრომელი ხალხის თვითმპყრობე-
ლობა, ჯერ ის განდეს გამგე და
პატრონი თავისივე სუფებელთა შაშინ და-
ინახავთ, რომ სოციალდემოკრატის
თელი ქვეყნისათვის უნდა ყველა ის
თავისუფლებები, რომლებსაც თქვენ
ასეთის შურის თვლით უტყვრით.
რაც შეეხება მსგავსებას, რომელსაც
თქვენ ეძიებთ მეფის და სოციალ-
დემოკრატის თვითმპყრობელობის
შორის, გეტყვით აი რას: ჩვენ არც აქ
ვეძლევით უტოზიას; ჩვენ გამოვდი-
ვართ იმ რეალური პირობებიდან,
რომელნიც დღეს გარს გვარტყია და
ვსარგებლობთ იმ იარაღით, რომელ-
საც ისტორია გვაწვდის: ჩვენ მტრის
ორგანიზაციის პროლეტარიატის ორ-
განიზაციის უპირდაპირებთ; მის ერ-
თობას ჩვენს ერთობას ვახვედრებთ;
ის სახრჩობელებს გააჩალებს, ჩვენ ამ
სახრჩობელებზედ წესს აუგებთ მათ;
ის შეიარაღებულია, ჩვენც იარაღს
ვისხამთ; ჩვენ მოკლებული ვიყავით
სინდისის, მიმოსვლის, კავშირის და
სხვა თავისუფლებებს და ასევე მოვექ-
ცევით ჩვენც ყველას, ვინც ოდნავ
კი ხელს შეგვიშლის, ვინც წინ გა-
დაგველობება, სულ ერთა ნემსით
იქნება თუ უნებლიეთ. ჩვენ ციხეებ-
ში გვალბობდნენ დღემდის. ჩვენც
ავავებთ ციხეებს ჩვენი მტრების
ლეშებით. ჩვენს სისხლს ღვრიდენ
და ღვრიან უწყალოთ, ჩვენც დავღვ-
რით მოპირდაპირეთა სისხლს. ასეთია
ულმობელი ლოლიკა რევოლუციის
და ჩვენც ამ ლოლიკას ვემორჩილე-
ბით. ხოლო რაც შეეხება ვითომ
და ფაქტებს, რომელთაზედაც სოცი-
ალისტ-ფედერალისტები მიგვითითე-
ბენ თავიანთ 20 ამ თვის პროკლამაცია-
ში, ჩვენ არ გამოუდგებით ამაზედ
ლაპარაკს: დე ყოველივე ეს იმ მშრო-
მელმა ხალხმა აწონ-დაწონოს და და-
აფასოს, რომლის მეგობრობაც ასე
სურთ ამ ვაჟბატონებს, მაგრამ ვერ
მოუხერხებათ.
მაშ ძირს ბიუროკრატის თვით-
მპყრობელობა. კიდევ გაუმარჯოს
პროლეტარიატის თვითმპყრობელო-
ბას.

რედაქტორ - გამომცემელი
ბ. ლათოქიფანიძე.

განცხადება.

ყოველ-დღიურ გაზეთ
„სოციალდემოკრატიული
ფურცლის“
რედაქცია იღებს გაზეთში დასაბეჭ-
დათ ყოველგვარ განცხადებებს.
განცხადების ფასა:
პირველ გვერდზე პწკარი თორმეტი
ნომერი ასოთი თითოჯერ დაბეჭდვა
10 კაპ., მეოთხე გვერდზე 5 კაპ.
აღრესი: ქუთაისი. ჟურნალ-გაზეთების
კანტონა „კოლხიდა“